სახელმძღვანელო

თქვენი სმარტფონით მაღალი ხარისხის ფოტოების გადასაღებად

Glovo

იცოდით თუ არა, რომ **პროდუქტები, რომლებსაც თანდართული აქვს ფოტოები, 3-ჯერ მეტი სიხშირით იყიდება**, ვიდრე ის პროდუქტები, რომლებიც წარმოდგენილია ფოტოს გარეშე?



და იცოდით თუ არა, რომ **ონლაინური მყიდველების 75% გადაწყვეტილების მიღებისას ენდობა პროდუქტის ფოტოს?**

Glovo

მიჰყევით ამ სახელმძღვანელოს და შეიტყობთ, თუ როგორ გადაიღოთ საუკეთესო ფოტოები ტელეფონით თქვენი მენიუსთვის, მარტივად და კომფორტულად!

მიჰყევით პროცესს

შედით Menu Manager-ში

დაამატეთ ან აირჩიეთ პროდუქტი

მოემზადეთ გადაღებისთვის

დავიწყოთ გადაღება

ატვირთეთ თქვენი ფოტოები

Content

1. Log into Menu Manager
2. Add or select the dish to add the missing pictures
3. Upload your photos to your menu using Menu Manager
4. Learn how to take quality photos
5. Take into account the Do's and Don'ts

მენიუ მენეჯერი

როგორ დაარედაქტიროთ თქვენი მენიუ

01 შედით MENU MANAGER-ში

გადადით ბმულზე:
https://managers.glovoapp.com/hello და
შეიყვანეთ ველებში თქვენი Glovo-ს ანგარიშის
მონაცემები და ადმინისტრატორის პაროლი.

დაასკანირეთ აქ
და მიიღეთ
წვდომა Menu
Manager-ზე!



02 დაამატეთ ან აირჩიეთ პროდუქტი თქვენი მენიუდან

თუ გსურთ თქვენს მენიუში ახალი პროდუქტის დამატება

გვერდის თავში დაინახავთ **“+” ღილაკს**, რომელზე დაჭერითაც შეგიძლიათ პროდუქტის დამატება. აქ შეგიძლიათ ატვირთოთ თქვენი ფოტოები და შექმნათ ახალი კერძი.



თუ გსურთ არსებული პროდუქტის რედაქტირება

მართეთ თქვენი რესტორნის მენიუ. **დაამატეთ ან შეცვალეთ პროდუქტის ფოტო პროდუქტის ღილაკზე თითის დაჭერით** და შეცვალეთ ფოტო ახლით.

03

გადაიღეთ საკუთარი ფოტოები და ატვირთეთ თქვენს მენიუში

1

შედითMenu Manager-ში თქვენი **Glovo-ს პარტნიორის მონაცემებითა** და ადმინისტრატორის პაროლით



2

Menu Manager-ში, **ჩაჰყევით თქვენს მენიუს**



3

აირჩიეთ კონკრეტული პროდუქტი, რომელზეც გსურთ ფოტოების დამატება



4

გაიხსნება პანელი, სადაც შეგეძლებათ **თქვენი პროდუქტის რედაქტირება**



5

ატვირთეთ ფოტო თქვენი ფოტოალბომიდან ან გადაიღეთ თქვენი კერძის ფოტო ახლავე, Menu Manager-ში ღილაკზე — **„ფოტოს ატვირთვა“ — თითის დაჭერით**



არ იცით, თუ როგორ გადაიღოთ ხარისხიანი ფოტოები?

მიჰყევით ჩვენს [რჩევებს]

Glovo

6

როცა ფოტოებს ატვირთავთ, **დააჭირეთ ღილაკზე — „ცვლილებების შენახვა“**



7

იხილეთ ახლადატვირთული ფოტოები თქვენი რესტორნის მენიუში, სულ რაღაც წამებში!



Arroz c/ leche €1.50

რჩევები ფოტოგადაღებისთვის

რჩევები მაღალი ხარისხის ფოტოების გადასაღებად

Glovo

01 მოემზადეთ გადაღებისთვის

Glovo-ს რჩევები

მოამზადეთ ფოტოგადაღების ხელსაწყოები

ჩვენ გთავაზობთ რამდენიმე გამოსადეგ ხელსაწყოს. ეს სავალდებულო არ არის, თუმცა, რეკომენდებულია, თუ გსურთ, მიიღოთ საუკეთესო ხარისხის ფოტოები.

შტატივი

კამერა/მობილური ტელეფონი

ფოტოყუთი ან მსგავსი

მოაწყვეთ თქვენი საკუთარი ფოტოგადაღება

იპოვეთ ბრტყელი ზედაპირი და შესაფერისი ფონი

გამოიყენეთ მაგიდა ან ნებისმიერი ბრტყელი ზედაპირი, რასაც თქვენი პროდუქტი სათანადოდ მოერგება და მოათავსეთ ის ფანჯარასთან რაც შეიძლება ახლოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს კარგი ბუნებრივი განათება

უკეთესი ხარისხის ფოტოების მისაღებად, გამოიყენეთ თეთრი უკანა ფონი უბრალო ფერებით ან უბრალო ტექსტურით ამ გზით, თქვენს პროდუქტებთან მიმართებით ყურადღების გაფანტვა აღარ მოხდება და თქვენი კერძი შეიძენს მკაფიო იერს

თქვენი პროდუქტისთვის უფრო დეტალური იერის მისაცემად, მოათავსეთ ის **თეთრ ქაღალდსა ან თეთრ შესაფუთ ქაღალდზე**, რათა ბუნებრივი სინათლე აირეკლოს.

მთლიანობის, თანმიმდევრულობის შეგრძნების შესაქმნელად და მომხმარებლის შთაბეჭდილების გასაუმჯობესებლად, ჩვენ გირჩევთ, მთელ მენიუში ყოველთვის ერთი და იგივე ფონი გამოიყენოთ

მოაწყვეთ თქვენი საკუთარი ფოტოგადაღება

გამოიყენეთ ბუნებრივი განათება

მაღალი ხარისხის ფოტოების გადასაღებად კარგია ბუნებრივი განათება. **მოძებნეთ ფანჯარა და მის გვერდით მოათავსეთ ბრტყელი ზედაპირი**

თუ ბუნებრივი განათება ხელმიუწვდომელია ან იღებთ ღამით, გამოიყენეთ ხელოვნური განათება.

არასოდეს გამოიყენოთ გაელვება და ყოველთვის ერიდეთ მუქ ჩრდილებსა და ანარეკლებს

Glovo

02 მოათავსეთ თქვენი პროდუქტი

მოათავსეთ თქვენი პროდუქტი

აჩვენეთ, თუ როგორი გემრიელია თქვენი კერძი! საჭმელი მოათავსეთ ისე, რომ მისი პრეზენტაციისას მადისაღმძვრელად გამოიყურებოდეს

მოაცილეთ კერძს შეფუთვა
შეფუთვის გამო ფოტო სათანადოდ ვერ წარმოჩნდება ხოლმე. ამოიღეთ კერძი და მოათავსეთ თეფშზე!

აჩვენეთ თქვენი კერძი შიგნიდან
დარწმუნდით, რომ მომხმარებელი ნათლად ხედავს კერძის ინგრედიენტებს. ვრეპის, ბურიტოსა და სენდვიჩების ორად გაჭრის წყალობით, მომხმარებლებს წარმოდგენა ექმნებათ ინგრედიენტებზე

სურათების გადაღებას დიდ დროს ნუ მოანდომებთ.
საჭმლის მომზადების შემდეგ გარკვეული ხნით დაყოვნების გამო შეიძლება კერძს მიმზიდველი იერი დაეკარგოს. როგორც კი პროდუქტს თეფშზე მოათავსებთ, მაშინვე დაიწყეთ სურათების გადაღება!

მოათავსეთ თქვენი კერძი ცენტრში
დარწმუნდით, რომ კერძი ზედაპირის ცენტრშია

ფოტოში არ გამოაჩინოთ სხვა ობიექტები ან ინგრედიენტები, რომლებიც კერძს არ ეკუთვნის.
გადაღებისთვის მოათავსეთ მხოლოდ ის პროდუქტი, რომელიც გსურთ, რომ მენიუში ჩანდეს

Glovo

03 გადაიღეთ!

გადაიღეთ თქვენი პროდუქტის ფოტო

დროა, გადაიღოთ თქვენი პროდუქტების ფოტოები! ამისათვის, გაითვალისწინეთ შემდეგი რამ:



თქვენი პროდუქტის გადასაღებად აარჩიეთ ყველაზე მიმზიდველი კუთხე

გადაიღეთ თქვენი კერძი ფრონტალურ სიბრტყეში ან 45-გრადუსიანი კუთხით

ყოველთვის მთლიანად გამოაჩინეთ თეფში

დარწმუნდით, რომ ფოტო არ არის მოჭრილი და პროდუქტი ჩანს სრულად

გადაიღეთ თქვენი პროდუქტის ფოტო

დროა, გადაიღოთ თქვენი პროდუქტების ფოტოები! ამისათვის, გაითვალისწინეთ შემდეგი რამ:

დარწმუნდით, რომ ყველა ინგრედიენტი და პორცია კარგად ჩანს

ფოტო უნდა იყოს რეალისტური და ყველა ინგრედიენტი უნდა ჩანდეს მკაფიოდ

თუ ეს არის კომბო ან მენიუ, აჩვენეთ ისინი გვერდიგვერდ, ცალ-ცალკე.

თუ კომბოს არ უღებთ ფოტოს, არ გადაიღოთ ბევრი კერძის ფოტო ერთად.

გაფრთხილება

ფოტოს ნუ დაურთავთ **ჭვირნიშნებს** ან რედაქტირების პროგრამების სახელწოდებებს.

აგრეთვე, მოერიდეთ **ლოგოების** გამოყენებას

ნუ გადაუღებთ ფოტოს **ცუდად წარმოდგენილ კერძებს** და **მოერიდეთ გაელვების გამოყენებას**

ფოტო არ უნდა იყოს **ბუნდოვანი**, **პიქსელირებული**, **დაბრეცილი** ან **გაწელილი**

და ყოველთვის გახსოვდეთ...

პროდუქტები, რომლებსაც დართული აქვს ფოტოები, იყიდება 3-ჯერ მეტი სიხშირით.

გაქვთ ბევრი პროდუქტი თქვენს მენიუში და არ იცით, საიდან დაიწყოთ?

დაიწყეთ თქვენი საუკეთესოდ გაყიდვადი პროდუქტებით!
პარტნიორებმა, რომლებმაც თავიანთ 5 საუკეთესოდ გაყიდვად პროდუქტს ფოტოები დაურთეს, გაყიდვები 18%-ით გაზარდეს!

არ დაგავიწყდეთ, თქვენი მენიუს გასაუმჯობესებლად დაამატოთ ფოტოები და აღწერილობები ჩვენი ახალი ხელსაწყოს — Menu Manager-ის გამოყენებით

დაასკანირეთ აქ და მიიღეთ წვდომა Menu Manager-ზე!